შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ ბიჭვინთა"
LTD REFUGEE FAMILY MEDICAL CENTRE „BICHVINTA"

№7
25 იანვარი 2018 წელი

საქართველო, ქუთაისი ტოლბუხინის 16
#16,Tolbuxini str. Kutaisi, Georgia
☎ 0(431) 21-20-04. Mob.5(99) 76-72-03

ასოციაცია ჰერა XXI-ის აღმასრულებელ დირექტორს
ქ-ნ ნინო წულეისკირს

შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთას" (ყოფილი „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ქუთაისის პოლიკლინიკა") და კავშირი „ჰერა XXI ს" შორის წლების განმავლობაში მჭიდრო საქმიანი და სასარგებლო ურთიერთთანამშრომლობა ჩამოყალიბდა, რომელიც დღესაც ასეთივე წარმატებით გრძელდება.

ამ ორგანიზაციამ ჩაუტარა ცენტრის სამედიცინო პერსონალს სემინარები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მათი მომზადების დონე და გახდა წინაპირობა იმისა, რომ ეს ცოდნა და ახალი ხედვა მიეწოდებინათ როგორც ახალგაზრდა მოხალისეებისა და თემის ლიდერებისათვის, ისე ზოგადად მოსახლეობისათვის, რომელთაც მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო ამ სერვისებზე ხელი არ მიუწვდებოდათ

კავშირი „ჰერა XXI-ს" მიერ ასევე გადამზადდა თანატოლ განმანათლებლების ჯგუფი, რომლებიც რეგულარულად დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში აწარმოებს გასვლებს და ადგილზე აწვდის იქ მცხოვრებ ბენეფიციარებს, რომელთა აბსოლიტური უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, ინფორმაციას და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს (კონდომები).

ჩვენს მიერ გასვლები განხორციელდა ქუთაისის თითქმის ყველა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში, ასევე წყალტუბოში, კოპიტნარში, ხონსა და სენაკში.

„ჰერას"-თან თანამრომლობის შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაიზარდა ჩვენს ცენტრში მიწოდებული სამედიცინო სერვისების რაოდენობა და ხარისხი, კერძოდ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, ქალების უმრავლესობას წარმოდგენა არ ქონდა ოჯახის დაგეგმარების მეთოდებზე, პარტნიორის ჩართულობაზე, რასაც ქალბატონები მიყავდა აბორტებამდე, რაც მრავლად იყო მათ ცხოვრებაში, ეს უკანასკნელი კი მათი ისედაც მწირი ბიუჯეტისათვის დიდი დარტყმაა, რომ არაფერი ვთქვათ ჯანმრთელობის თვალსაზრისით მიყენებულ ზიანზე.

სწორედ „ ჰერა- XXI" –თან თანამშრომლობის შედეგად იმატა ჩვენს ცენტრში კონტრაცეფციის მეთოდის შესარჩევად მოსული ბენეფიციარების რაოდენობამ, როგორც ექიმ მეან-გინეკოლოგთან, ისე ოჯახის ექიმთან. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს კონსულტაცია ეხმარება წყვილს სწორად შეაფასოს

თავისი რეპროდუქციული შესაძლებლობები, შეარჩიოს მისთვის მისაღები უსაფრთხო მეთოდი.

ახლა მათთვის იმდენად პოპულარული გახდა კონტრაცეპციის სხდასხვა მეთოდები, რომ აღარ იკეთებენ აბორტს და როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ამის გამო ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა აბორტების რიცხვი. ამ ყველაფრის უკან კონკრეტული ადამიანები დგანან, თავიანთი რეალური ისტორიებით, სია საკმაოდ გრძელი და შთამბეჭდავია. ყოველი ქალბატონი, რომელიც აბორტს ამ სესიების წყალობით გადაურჩა ჩვენი ერთობლივი და წარმატებული მუშაობის დამსახურებაა, ჩვენი საერთო სიხარულია. იგივე შეიძლება ითქვას სგგდ-სთან მიმართებაში, ამ მიზეზით ჩვენს ცენტრში მომართვიანიობის შემცირებაც პირდაპირ კავშირშია თქვენს მიერ დანერგილ სერვისებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი ცენტრისა და „ჰერა XXI"ს შორის თანამშრომლობა მეტად სასარგებლოა და აუცილებელ საქმეს აკეთებს დევნილი ბენეფიციარების ჯანმრთელობისათვის და აწვდის მათ იმ სერვისებს, რომლებზეც ფინანსური უსახსრობის გამო ხელი არ მიუწვდებათ.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენი ბენეფიციარებისათვის აუცილებელია ამ მხარდაჭერის და თანადგომის გაგრძელება.

მე, როგორც შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთას" ხელმძღვანელი მათი სახელით მადლობას ვუხდი „ჰერა XXI"ს გაწეული დახმარებისათვის და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება.

პატივისცემით,
ცენტრის დირექტორი

ნინო ქასრაშვილი